სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 4 (55) დეკემბერი, 2014 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-91-03-90

ცვალე ამ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პატეტესი,
ბინსვლა ადამიანისა თუ სიფაქვად ამ ბიარნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

saqarTvelos soflis meurneobis mecnierebaTa akademia

guliTadad gilocavT Soba-axal wels;

gisurvebT janmrTelobas, didxans sicocxles, nayofier

samecniero da sazogadoebriv saqmianobas

Cveni qveynis sakeTildReod.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი

აკად. გ.ალექსიძე

შეხვედრა მინისტრთან

2014 წლის 04 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბატონი ოთარ დანელია. შეხვედრას აკადემიის მხრიდან ესწრებოდნენ აკადემიური საბჭოს წევრები, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები, აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი; სამინისტროს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, მინისტრის მრჩევლებმა აკად. თ. კუნჭულიამ, ო. კაჭარავამ და შ. კიკალიშვილმა, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მინისტრის აკადემიაში სტუმრობის მნიშვნელობას, ამ ორი უწყების მზაობას რთიერთთანამშრომლობის გაღრმავების და ერთობლივი სამომავლო მუშაობის პერსპექტივების მიმართულებით; აღინიშნა, რომ სრულდება კანონით გათვალისწინებული პუნქტი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საქართველოს მთავრობის მრჩეველი აგრარული სფეროს ნებისმიერ მიმართულებაში, რასაც მთლიანად იზიარებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პირადად მინისტრი.

შეხვედრის მნიშვნელობაზე და საქართველოს აგრარული სფეროს დღევანდელ სიტუაციასა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ ისაუბრეს აკადემიკოსებმა ნ. ქარქაშაძემ, ნ. ჭითანავამ, ო. ქეშელაშვილმა, ნ. ბაღათურიამ, ზ. ცქიტიშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. კოღუაშვილმა, აკადემიკოსმა გ.ჯაფარიძემ.

შეხვედრაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა მინისტრი ოთარ დანელია, რომელმაც უაღრესად კომპეტენტურად ისაუბრა სამინისტროს გეგმებზე, იმ გამოწვევებსა და ღონისძიებებზე, რასაც უახლოეს პერიოდში გეგმავს სამინისტრო. მინისტრის გამოსვლაში ნათლად გამოიკვეთა სამინისტროს პოზიცია, რომ მეცნიერების გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ბუნდოვანია, ამიტომ მთელი ძალისხმევა წარიმართება სამინისტროსა და აკადემიის ერთობლივი მუშაობისკენ მთელ რიგ საკვანძო საკითხებში. აღინიშნა აგრეთვე, რომ გაფორმდება ამ ორ უწყებას შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი, ამ დონის შეხვედრებს მიეცემათ სისტემატური ხასიათი, მეცნიერები მიწვეულნი იქნებიან სამინისტროს კომისიებსა და საბჭოებში, ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების შექმნაში, გაძლიერდება მეცნიერების როლი ფერმერთა მომზადება-გადამზადების საქმეში და ა.შ.

აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ აკადემიის სახელით მადლობა გადაუხადა მინისტრსა და სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისათვის და მიესალმა სამინისტროს ინიციატივას, რომ გამოიყენოს ღვაწლმოსილი აგრარიკოს მეცნიერების პოტენციალი სოფლის მეურნეობის ნებისმიერ დარგში, რასაც თავის მხრივ მხარს უჭერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთლიანი შემადგენლობაც, რომელიც მზად არის სამინისტროსთან ერთობლივი თანამშრომლობისათვის.

შეხვედრის გახსნა - აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,აკად. გურამ ალექსიძე.

მინისტრის მოადგილე ი. ნოზაძე, მინისტრი ო. დანელია და აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე.

სსმმ აკადემიის წევრების შეხვედრა მინისტრთან.

შეხვედრის შემდეგ - სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე, მინისტრი ო. დანელია, აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ჯ. კაციტაძე, აკად. ზ. ცქიტიშვილი, აკად. რ. მახარობლიძე.

ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 ოქტომბერს მოისმინა აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მოხსენება "ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები."

აღინიშნა, რომ საქართველოში არსებობს 450-500 ათასი ტონა ყურძნის დამზადების შესაძლებლობა. ეს ყურძნის ის რეალური რაოდენობაა, რომელსაც ვამზადებდით გასულ წლებში სუფრის ღვინოების მისაღებად. დღეს ეს მაჩვენებელი 100-120 ათას ტონამდე დავიდა, მაგრამ შეიმჩნევა ყურძნის დამზადების ზრდის ტენდენცია მას შემდეგ, რაც მკვეთრად გაიზარდა ქართული ღვინოების ექსპორტი რუსეთის ბაზარზე.

ყურძნის გადამუშავებისას წარმოიშობა მყარი ნარჩენები (სურ.1), რომელთა რაოდენობა აღწევს საწყისი ნედლეულის 30-32%. ყურძნის მყარი ნარჩენები შეიცავენ ყურძენში არსებული ბიოაქტიური, სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ნივთიერებების ძირითად ნაწილს, რომლებიც რჩება ამ ნარჩენებში მთლიანად (თეთრი ყურძნის გადამუშავებისას) ან ნაწილობრივ (წითელი ღვინოების წარმოებისას). შესაბამისი ტექნოლოგიის არარსებობის გამო ყურძნის გადამუშავების ნარჩენებმა მსოფლიოში ვერ ჰპოვა გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყარ ნარჩენებს იყენებენ ყურძნის ბრენდის (ჭაჭის არაყი საქართველოში) მისაღებად. ამ შემთხვევაშიც ბიოაქტიური ნივთიერებები ძირითადი ნაწილი რჩება ნარჩენებში, არ გამოიყენება და ანაგვიანებს გარემოს.

ყურძნის ნარჩენები გამდიდრებულია ფენოლური ნაერთებით, რომლებიც წარმოადგენენ ანტიოქსიდანტურ, ანტიკანცეროგენულ ნივთიერებებს და შესა-ბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნან სამკურნალო-პროფილაქტიკური დანი-შნულების პროდუქტების მისაღებად.

ეს ნარჩენები ასევე მდიდარია დაბალმეტოქსილირებული პექტინოვანი ნივთიერებებით, რომელთაც უნარი აქვთ ადამიანის ორგანიზმიდან გამოიტანონ მძიმე მეტალები და რადიოაქტიური ნივთიერებები, და ამდენად მათი გამოყენებით შეიძლება დამზადდეს მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი რადიოპროტექტორული დანიშნულების კვების პროდუქტები.

ყურძნის პექტინი გამოირჩევა სხვა დანარჩენი მცენარეული ნედლეულიდან მიღებული პექტინით იმით, რომ ის შედგება დაბალმეტოქსილირებული გალაქტურონმჟავებისაგან დაბალმეტოქსილირებულ პექტინს გააჩნია ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოტანის მეტი უნარი მაღალმეტოქსილირებულ პექტინთან შედარებით.

პექტინი	Кс, %	Км,%	Кэ,%	Пэ,%	მოლ.წ, პირ. ერთ.	ნაცარი,%
ჭარხლის	9,3	6,7	1,4	52,5	55700	3,10
ვაშლის	4,9	9,2	1,3	65,3	66800	2,40
მანდარინის	3,9	9,8	0,8	61,8	47200	0,95
ყურძნის		6,1		46,0		2,8

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურძნის გადამუშავების მყარი ნარჩენები წარმოადგენენ შესანიშნავ ნედლეულს ფუნქციონალური დანიშნულების - ანიოქსიდანტური, რადიოპროტექტორული, ანტიდიაბეტური და ანტიკანცეროგენული კვების პროდუქტების მისაღებად.

აღნიშნული ნარჩენებიდან ბიოაქტიური ნივთიერებების ამოსაღებად (ექსტრაგი-რებისათვის) ჩვეულებრივ იყენებენ მარილმჟავით შემჟავებულ წყალხსნარებს ან ეთილის სპირტს. ამ ექსტრაგენტების გამოყენება ართულებს პროცესს და აძვირებს მიზნობრივი პროდუქტის ღირებულებას. ამდენად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს იაფი და თან ნატურალური ექსტრაგენტის გამოყენება საღებავებისა და ბიოაქტიური ექსტრაქტების მისაღებად. ასეთ ექსტრაგენტად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა საკონიაკე ღვინის გადადენისას დარჩენილი ბუყი ანუ ალკოჰოლმოშორებული ღვინო.

საბრენდე (საკონიაკე) ღვინის გამოხდის დროს წარმოიქმნება თხევადი ნარჩენები, რომლებიც ვერ პოულობენ გამოყენებას და ანაგვიანებენ გარემოს(სურ.5). ცხრილში 2 ნაჩვენებია ღვინის გადამუშავების ნარჩენების (ღვინის ბუყი) ქიმიური შედგენილობა რომელიც გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ნარჩენები პრაქტიკულად იგივე შედგენილობისაა, როგორც ნატურალური ღვინო, იმ განსხვავებით, რომ ისინი არ შეიცავენ მხოლოდ ეთილის სპირტს

ჩვენს მიერ პირველად იქნა დაგენილი, რომ ღვინის ნარჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნას ექსტრაგენტად ზემოთ ნახსენები ყურძნის მყარი ნარჩენებიდან ბიოაქტიური ნივთიერებების, მღებავი ნივთიერებების ექსტრაგირებისათვის.

ყურძნის ბიოაქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული ექსტრაქტი წარმოადგენს საფუძველს ფუნქციონალური დანიშნულების სასმელების მისაღებად. ასეთნაირად ჩვენს მიერ მიღებულ იქნა სასმელი "ბიოანტი", რომელიც წარმოადგენს ანტიკანცეროგენურ, ანტიდიაბეტურ და რადიოპროტექტორული დანიშნულების პროდუქტს.

ღვინის გადამუშავების ნარჩენის (ბუყის) ქიმიური შედგენილობა		
	ღვინის ბუყი	
მაჩვენებლები	ღვინომჟავა მარილების ამოღებამდე	ღვინომჟავა მარილების ამოღების შემდეგ
შეწონილი ნივთიერებების საერთო რაოდენობა, გ/ლ	10—16	1—3
pH	**3,1-3.5**	3.3—3,7
იმგოფის ძაბრში 2 საათში ადვილად დასალექი შეწონილი ნივთიერებები , მლ	0,3-0.4	
მშრალი ნარჩენი, გ/ლ	19—19	7—10
ხსნადი ნივთიერებების მშრალი ნარჩენი, გ/ლ	6,4—9,6	5,7—8,4
БПК, მგ/ლ	5460-6240	51 30—5840
ХПК бихромат, მგ/ლ	16 120—22 600	13 290—17 570
ფენოლური ნაერთები, მგ/ლ	230—490	180—360
უმაღლესი სპირტები, მგ/ლ	220—310	200—280
შაქრები, მგ/ლ	500-700	480—680
გლიცერინი, გ/ლ	2,8—3.6	2,7—3.5
ფურფურული, მგ/ლ	3—8	3-7
ღვინის მჟავა, გ/ლ	**1.2—1,**5	0.2-0.4
სხვა ორგანული მჟავები, გ/ლ	**0,8—0.9**	0,7—1,2

ბიოანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელი. ამასთან ერთად, ჩვენს მიერ საქართველოსა და ჰოლანდიაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბიოანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პურის ნატურალური დანამატი - გამაუმჯობესებელი.

მთელს მსოფლიოში პურის გამაუმჯობესებლად (დანამატად) ამჟამად გამოიყენება ხელოვნური გამაუმჯობესებელი - გლუტენი , რომელიც იწვევს უმძიმეს დაავადებას ცელიაკიას, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე.

„ბიოანტი“, როგორც ნატურალური გამაუმჯობესებელი, წარმატებით გამოიცადა საქართველოსა და ჰოლანდიის საწარმოებში. მან მთლიანად შეცვალა ხელოვნური გამაუმჯობესებელი „გლუტენი“. იმავდროულად ბიოანტზე დამზადებული პურ-ფუნთუშეული წარმოადგენს ფუნქციონალური დანიშნულების ანტიოქსიდანტურ, ანტიკანცეროგენულ პროდუქტს.

ღვინის ბუყის, როგორც ექსტრაგენტის გამოყენებით ასევე მიღებულ იქნა ყურძნის ნატურალური საღებავი.

საქართველოში არსებული მცენარეული ნედლეულის რესურსების გამოყენებით საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდების ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებისა და ნატურალური საკვები დანამატების (საღებავების) ადრე არსებული წარმოების აღორძინება; ნატურალური საკვები საღებავის მისაღებად გამოყენებულ იქნება ყურძნისა და ღვინის გადამუშავების თხევადი და მყარი ნარჩენები, რომლებიც დღეს ანაგვიანებენ გარემოს. ამ ნარჩენების რაოდენობა შეადგენს გადამუშავებული ყურძნის ნედლეულის 30% და საკონიაკე სპირტად გადამუშავებული ღვინომასალის 70%. მეორადი ნედლეულის ამ რაოდენობიდან პერსპექტივაში შეიძლება ვაწარმოოთ საშუალოდ 35-50 მლნ ევროს ღირებულების პროდუქცია ნატურალური წითელი საღებავის, ანტიოქსიდანტური სასმელებისა და პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის სახით; იგივე დანიშნულების საექსპორტო პროდუქციის მისაღებად ასევე გამოყენებული იქნება არასაღვინე ჯიშის ყურძნები (იზაბელა(ოდესა), ვაქირულა, კაჭიჭი) და ერთწლიანი კულტურა - შავი სტაფილო.

რძის წარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორთა კლასიფიკაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 28 ნოემბერს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება **“რძის წარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა კლასიფიკაცია.”**

აღინიშნა, რომ წარმოების მომგებიანობა და ეფექტური მუშაობა ძირითადად განპირობებული და დამოკიდებულია იმ ფაქტორთა ანალიტიკურ განხილვაზე, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოს განვითარების ოპტიმალურ მიმართულებებს.

ფაქტორთა ეს ჯგუფი თავისი წარმოშობითა და მნიშვნელობით მრავალფეროვანია და მათი სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის გარეშე იზღუდება ამ მაჩვენებლის ჩართვა აზროვნების პროცესში. ე.ი. მნიშვნელოვანია ამ ფაქტორთა კლასიფიკაცია, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია რაციონალური და დინამიურად მზარდი შედეგების მიღწევა.

წარმოდგენილი სქემა ეფუძნება თანამედროვე სამ საფეხურიან კლასიფიკაციას, სადაც თითოეული საფეხური ხსნის ფაქტორის არსს და მის ურთიერთ კავშირს სხვა ფაქტორებთან.

პირველი საფეხური აერთიანებს იმ განზოგადებულ ფაქტორთა კლასს, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოთა სტაბილურ და დინამიურ შედეგებს.

მეორე საფეხური მოიცავს იმ ფაქტორთა ჯგუფს, რომლებიც დაწვრილებით აღწერენ კლასიფიკაციის პირველი საფეხურის შინაარსსა და შემადგენელ ნაწილებს.

მესამე – აზუსტებს იმ შესაძლო მთავარ კერძო ფაქტორებს, რომლებზეც დამოკიდებულია წარმოების მდგრადი განვითარება, უვნებელი რძის პროდუქტების წარმოება და მაღალი დონის სტანდარტების დანერგვა.

წარმოდგენილი კლასიფიკაცია შეიძლება დაყვანილ იქნეს მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. მაგალითად: მეოთხე – ამოსავალი ნედლეულის შედგენილობა (ცხიმი, ცილა, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და სხვა).

მეხუთე საფეხურის წარმოჩენა შესაძლებელია "პროდუქტის ასორტიმენტის" ფაქტორთა ჩამონათვალით და ა.შ., მაგრამ აღნიშნული კლასიფიკაციის შედგენილობის დაწვრილებით აღწერა მიზნობრივად არ ემთხვევა ნაშრომის მთავარ მიზანს: მოვახერხოთ წარმოების ეფექტურობაზე მომქმედ ფაქტორთა ანალიზი.

საანალიზო მასალად შეიძლება განხილულ იქნეს წარმოდგენილი სქემა, სადაც კლასიფიკაციის ფაქტორთა შემაერთებელი სამი ხაზიდან პირველი საფეხურის ორი ხაზი აჩვენებს რა ორი კლასის ურთიერთ კავშირს, ხაზს უსვამს საწარმოო ციკლში თანმიმდევრულ პროცესებს, ნედლეულის შემოტანიდან – პროდუქციის მიწოდებამდე.

ხაზი, რომელიც აერთიანებს "ტექნიკურ დონეს", "უვნებლობისა და ტექნოლოგიების უზრუნველყოფა"–ის ფაქტორებს, განსაზღვრავს ტექნიკური აღჭურვილობის მნიშვნელობას და კავშირს რძის პროდუქტების უვნებლობისა და ტექნოლოგიური რეჟიმების მიმართ.

ფაქტორები, რომლებიც დომინანტურ გავლენას ახდენენ წარმოების მუშაობის ხარისხზე და ეფექტურობაზე, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. წარმოებაზე დამოკიდებული და რეგულირებადი;
2. წარმოებაზე დამოუკიდებელი და არარეგულირებადი;
3. წარმოებაზე ნახევრად დამოკიდებული და ნახევრად რეგულირებადი.

რეგულირებად ფაქტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ რძის პროდუქტების სხვადასხვა სახეები (ასორტიმენტი), ტექნიკური აღჭურვილობა, პერსონალის სათანადო ცოდნა, სან–ჰიგიენური პირობები და სხვა. ნედლეულიდან – რძის ფხვნილი, ნაღებიდან დამზადებული კარაქი – ნედლეული.

არარეგულირებად ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ნედლეულის სახეები, როგორიცაა: მცენარეული ცხიმები "სპრედები", მარგარინი და სხვა.

ნახევრად რეგულირებადია ადგილობრივი პირველადი წარმოების რძის ნედლეული.



ფაქტორთა მოკლე დახასიათება

შემოთავაზებული კლასიფიკაციის სქემით ჯერ დახასიათებულია "ამოსავალ ნედლეულით" განსაზღვრული ჯგუფი.

ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ნედლეულის დამზადების მკვეთრი სეზონურობა განაპირობებს იმპორტირებული რძის ფხვნილის, მცენარეული ცხიმების, რძის ნაღებზე დამზადებული კარაქისა და "სპრედების" ამ მიზნით გამოყენებას.

აღნიშნული ჯგუფის ფაქტორთა დახასიათებით განსაკუთრებული მაღალი რისკის შემცველობით გამოირჩევა მცენარეულ ცხიმებზე დამზადებული ნედლეული, რადგან საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში "მოღვაწე უფლებამოსილ ჩინოვნიკებისთვის" ჰიდროგენიზირებული ცხიმის შემცველ მცენარეულ ნედლეულში წარმოქმნილი ტრანს–იზომერების "ნორმირება" და მათი რაოდენობრივი იდენტიფიცირება არ უკავშირდება ქიმიური აგენტების მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ საზიანო ქმედებას.

რაც შეეხება ადგილობრივი ნედლეულის ფაქტორთა ჯგუფის ხარისხობრივი შედგენილობა (ცხიმი, ცილა, ნახშირწყალი, მინერალური ნივთიერებები და სხვა) ვერ უზრუნველყოფენ წარმოებული რძის პროდუქტების სავარაუდო "გამოსავალს" (ამ ნივთიერებების სიმცირის გამო) და ნივთიერებათა სათანადო ოდენობის კვებითი ღირებულებების განმსაზღვრელ ბალანსის მიღწევას (თუმცა ამ მაჩვენებლებისა და ბაქტეროლოგიური დაბინძურების მაჩვენებლების განსაზღვრა წარმოებაში შესაძლებელია).

ცალკე განხილვის საგანია ცხოველთა დაავადებაზე არაკეთილსაიმედო კერებიდან რძის მიღება–გადამუშავების პროცესი. ამ ფაქტორის საზიანო გავლენაზე ჩამოყალიბებული სამეცნიერო აზრი ალტერნატივის გარეშეა, რასაც როგორც სჩანს საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ორგანოები არ ითვალისწინებენ, რადგან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს "მაკონტროლებლის" ვალდებულებას ნედლეულის მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია დაავადებულ კერათა შესახებ.

ასე, რომ ადგილობრივი რძის ნედლეული "ამოსავალ ნედლეულის" კომპონენტთა შორის წარმოების ეფექტური მუშაობისა და რძის პროდუქტების უვნებლობის ერთ–ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორთაგანია.

მომდევნო კლასი გახლავთ "რძის პროდუქტების წარმოების" კლასი, რომლის ფაქტორები გარკვეულწილად დამოკიდებულნი არიან საწარმოზე და ამის გამო ეს ჯგუფი რეგულირებადია და ამასთან ერთად შესაძლებელია მათი განხილვა წარმოების ტექნიკურ დონესთან კავშირში.

ყველასათვის ცნობილია, რომ მაღალი დონის ტექნიკური აღჭურვილობა მაქსიმალურად გამორიცხავს ხელით შრომას (მეორად დაბინძურებას), რაც დადებითად მოქმედებს პროდუქციის უვნებლობაზე, მითუმეტეს, თუ წარმოება ფლობს შიდა კონტროლის ისეთ პრევენციულ სისტემებს, როგორიცაა "HACCP" და "მიკვლევადობა".

ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება საწარმოს ასორტიმენტი და მისი კონკურენტუნარიანობა. პროდუქციის ასორტიმენტის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს დაბალანსებული სურსათის შესახებ.

და ბოლოს, "მზა პროდუქციის მიწოდება"–ის კლასის ფაქტორები მიეკუთვნებიან მთელი საწარმოო ციკლის დამამთავრებელ ეტაპს, რომლის საწყისი პროცედურები საწარმოში მიმდინარეობს და მიღებული მზა პროდუქცია განსაზღვრული დროის განმავლობაში გროვდება და ინახება მაცივარ–საწყობებში, სადაც არსებული ტემპერატურული რეჟიმები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის შენარჩუნების საქმეში. ეს ადგილი ერთ–ერთი რგოლი გახლავთ ე.წ. "ცივი ჯაჭვის" შედგენილობაში, რომელიც გრძელდება კლასით "პროდუქციის ტრანსპორტირება", რაც გულისხმობს სავაჭრო ქსელში პროდუქციის ტრანსპორტირებას "ცივი ჯაჭვის" პირობების გათვალისწინებით და მისი დახლ–მაცივრებში განთავსებით. აღნიშნულ ჯაჭვში წარმოებისათვის რეგულირებადია ტრანსპორტირება და ტრანსპორტში არსებული ჰიგიენისა და ტემპერატურული რეჟიმების დაცვა, ხოლო სავაჭრო ქსელის დახლ–მაცივრების მიერ შექმნილი ჰიგიენური და ტემპერატურული რეჟიმების მიმართ გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლი.

წარმოდგენილი მასალის განხილვა (ანალიზი) შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ შემდეგი: რძის პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს ეფექტურობის ზრდა, ოპტიმალური ასორტიმენტის შერჩევა და რძის პროდუქტების უვნებლობის მართვა და სხვა მიზანშეწონილია განხორციელდეს მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებული კლასიფიკაციის იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების მდგრად განვითარებას.

აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 დეკემბერს მოისმინა აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის მოხსენება "აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები,როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი."

აღინიშნა, რომ მოხსენების სათაურში გამოტანილი პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა საქართველოსათვის განპირობებულია ქვეყნის ფუნქცია მნიშვნელობით, არა მარტო გეოგრაფიულით, როგორც მსოფლიო ენერგო-კომუნიკაციური გზაჯვარედინი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და სოციალურ-კულტურულით, როგორც სხვადასხვა ცივილიზაციებისა და კულტურების აღმოცენებისა და შეხების წერტილი, არამედ აგრეთვე ეკოლოგიურით, საქართველო როგორც გენეტიკური მრავალფეროვნების მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი რეგიონი.

ყოველივე ამას სადღეისოდ ემუქრება ტექნოგენეზის პირობებში მომძლავრებული ეკოლოგიურიზეწოლა, ძირითადად გამოხატული არა მარტო გლობალიზაციის ზეწოლით, არამედ გლობალური კლიმატური ძვრებით და ბუნებრივი არეების მზარდი დეგრადაციითა და დაბინძურებით, რაც გამოწვეულია მისი გეოგრაფიულ-რელიეფური და გეოლოგიურ-ნიადაგობრივი თავისებურებებით.

სატრანზიტო ფუნქციების განხორციელება დაკავშირებულია დიდი მოცულობის ენერგო და ტვირთნაკადების გადაადგილებასთან, რაც გარემოზე კანონზომიერად იწვევს სულ უფრო მზარდ დატვირთვებს და დეგრადაციის საშიშროებას.

გეოლოგიური და რელიეფური თავისებურებები განაპირობებენ რადიაციული ფონის ბუნებრივად მომატებულ სიდიდეებს, რაც ლოგიკურად გულისხმობს ამ ფონის ტექნოგენურად შემდგომი ზრდის არასასურველობას და სათანადო რადიოეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელების მკაცრ აუცილებლობას.

ამა თუ იმ ქიმიური ელემენტის გეოქიმიური დეფიციტი ქმნის მისი ანალოგის დამაბინძურებელი ელემენტის ეკოლოგიურ ჯაჭვში დაჩქარებული მიგრაციისა და ორგანიზმში ჭარბი შეღწევის პირობებს. ასეთ შემთხვევასთან ჩვენ გვქონდა საქმე ჩერნობილის კატასტროფის შემდგომ,რაც საქართველოს იოდდეფიციტურ რეგიონებში იოდის რადიოაქტიური იზოტოპების შემოჭრამ განსაკუთრებული საშიშროება შექმნა.

ცნობილია, რომ საქართველოს ტიპიური დიეტები კალციდეფიციტურია, რაც ტექნოგენური რადიონუკლიდებით დაბინძურებისას დიდად ზრდის ორგანიზმში ჭარბი შეღწევის საფრთხეს ,განსაკუთრებით ეკოლოგიურად ყველაზე საშიშ სტრონციუმ-90-საგან.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესი გონივრულად გამოსაყენებელია მსოფლიო ბაზრის მოსაპოვებლად წარმატებული ბიზნეს საქმიანობისათვის. საქართველოს აგროსექტორი ,როგორც გენეტიკური მრავალფეროვნების უშრეტი წყარო საინტერესოა მსოფლიო ბიზნეს საქმიანობისათვის.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დისკუსიის საგანია „გენმოდიფიცირებული“ და „ეკოლოგიურად სუფთა“ პროდუქციის საკითხი. აქ მნიშვნელოვანია გადაჭრით ითქვას გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნეობა ოფიციალურად არსად არ არის დაფიქსირებული; მისი მოხმარება არმოხმარების საკითხს მომხმარებელი თვითონ წყვეტს. ამრიგად საკმარისია მხოლოდ არსებობდეს შემოტანილი პროდუქციისათვის აუცილებელი „ხარისხის სერთიფიკატი“. თუ ქვეყანაში არასერთიფიცირებული პროდუქცია შემოდის, ეს ლაბორატორიების საქმე არ არის, ამისთვის სხვა ორგანოები არსებობს და ამით ჩვენ მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პრობლემას მხოლოდ ვართულებთ.

ყოველივე ზემოთ თქმულის მკვეთრი გამოსწორების ერთადერთი გზაა მაპროფილებელი კვლევითი ცენტრების დატვირთვა ამ თემატიკით და მათი მიზნობრივი დაფინანსება და შემთხვევითი არასპეციალისტების მკვეთრი გამიჯვნა აგრო და სასურსათო სფეროდან; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დანერგვა.

სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 დეკემბერს მოისმინა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გიორგი გაგოშიძის მოხსენება “**სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები ”.**

აღინიშნა, რომ სატყეო განათლებას საქართველოში 1888 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო საკუთრების სამინისტროს ბრძანებულებითა და სახელმწიფო სატყეო სამმართველოს ორგანიზებით იმპერიაში შეიქმნა დაბალი რანგის სპეციალისტთა მომზადების 10 სატყეო სკოლა მათგან ერთი – თბილისის გუბერნიის, ახალციხის მაზრაში.

1902 წელს იმავე სამმართველოსა და რუსეთის საერო განათლების სამინისტროს მხრიდან უკვე იყო მცდელობა კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა, რომელსაც ფუნქციონირება უნდა დაეწყო ქ.თბილისში და მასში გათვალისწინებული იყო სატყეო დარგის სპეციალისტების მომზადებაც, მაგრამ იმპერიაში არსებული რთული ვითარების გამო ეს ვერ განხორციელდა.

უმაღლესი განათლების მქონე მეტყევეთა მომზადებას საქართველოში ხორცი შეესხა 1917 წელს, როდესაც თბილისში გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სატყეო სპეციალობამ აგრონომიულთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტზე.

1918 წელს საქართველოში დაარსდა ეროვნული უნივერსიტეტი, სადაც აგრონომიულ ფაულტეტზე გაიხსნა სატყეო განყოფილება, ხოლო სტუდენტთა პირველი მიღება 1919 წელს განხორციელდა. სატყეო–სამეურნეო სპეციალობის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი უნივერსიტეტმა 1923 წელს გამოუშვა. პარალელურად, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარეობდა ხე-ტყის დამზადებისა და გადამუშავების სპეციალისტთა მომზადებაც. ამავე პერიოდში, თბილისის კულტურულ–ტექნიკურ საშუალო სამეურნეო სასწავლებელში – მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მებაღეობისა და ჰიდროტექნიკურ სპეციალობებთან ერთად ცოდნას ეუფლებოდნენ სატყეო დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მომავალი სპეციალისტებიც.

1929 წელს, აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი, სადაც სატყეო-სამეურნეო სპეციალობა დამოუკიდებელ ფაკულტეტად ჩამოყალიბდა. 1930 წელს სატყეო–სამეურნეო ფაკულტეტის საფუძველზე შეიქმნა ამიერკავკასიის სატყეო–ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც 1933 წელს თბილისის სატყეო–ტექნიკურ ინსტიტუტად გადაკეთდა. დამოუკიდებელმა უმაღლესმა სატყეო–ტექნიკურმა სასწავლებელმა 1938 წლამდე იარსება და ფუნქციონირება შეწყვიტა პროფ. ს. ქურდიანის გარდაცვალების შემდეგ. იმავე წელს სატყეო–სამეურნეო სპეციალობის ბაზაზე შექმნილი ფაკულტეტი სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა, ხოლო ხე–ტყის დამზადებისა და გადამუშავების სპეციალობა ისევ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუბრუნდა.

1929 წელს ქ.ყვარელში დაარსდა საშუალო სატყეო–სპეციალური სასწავლებელი, რომელიც მალე თბილისში იქნა გადმოტანილი. აღნიშნული სასწავლებლის სატყეო–სამეურნეო სპეციალობის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა ბორჯომის, ხოლო ხე–ტყის

დამზადებისა და გადამუშავების სპეციალობის ბაზაზე – ქუთაისის სატყეო ტექნიკუმები. ბორჯომის სატყეო – ტექნიკუმმა თითქმის 2000-იანი წლების დასაწყისამდე იარსება, დღეისათვის კი სამწუხაროდ სატყეო პროფილის აღარცერთი საშუალო სასწავლებელი აღარ ფუნქციონირებს.

საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო –სამეურნეო ფაკულტეტმა მალე დაიკავა წამყვანი პოზიციები და დღემდე ათასობით სპეციალისტი მოუმზადა როგორც ქვეყნის სატყეო და შესაბამისი პროფილის სხვა დარგებს. ისე სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების შესაბამის უწყებებს, რადგან დღიდან დაარებისა, სატყეო–სამეურნეო ფაკულტეტი ერთადერთი იყო მთელს კავკასიაში და ასეა დღესაც.

1990 წლიდან საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ეწოდა. სახელწოდების შეცვლასთან ერთად უმაღლესი სასწავლებელი შინაარსობრივადაც გამდიდრდა. ფაკულტეტზე გარდა სატყეო–სამეურნეო სპეციალობისა, დაიწყო სპეციალისტების მომზადება მწვანე მშენებლობის არქიტექტურისა (ლანდშაფტის დაგეგმარების) და სატყეო ეკოლოგიის სპეციალობებზე, რამაც უფრო თანამდროვე და ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი გახადა ფაკულტეტი.

როგორც უკვე აღინიშნა, სატყეო – სამეურნეო ფაკულტეტი და სატყეო–სამეურნეო სპეციალობა ამიერკავკასიაში ერთადერთი იყო და ასეა დღესაც. სამწუხაროდ, სატყეო სამეურნეო ფაკულტეტი გაუქმებულია აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც იგი ათეულობით წლების განმავლობაში არსებობდა და კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ სატყეო განათლების ფლაგმანს წარმოადგენდა. დღეისათვის აგრარული უნივერსიტეტის აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სატყეო სპეციალობაზე ბაკავარიატსა და მაგისტრატურაში სულ 14 სტუდენტი ირიცხება, ხოლო მათ აღზრდას მხოლოდ 2 პედაგოგი ემსახურება. სატყეო – სამეურნეო სპეციალობა არსებობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც იგი ტექნოლოგიურ ფაკულტეტზეა წარმოდგენილი და ბაკალავრიატის I და II კურსებზე მხოლოდ 18 სტუდენტს ითვლის. მომავალი მეტყევეების აღზრდას აქ აგროეკოლოგიისა და სატყეო დეპარტამენტიდან მხოლოდ 1 მეტყევე – სპეციალისტი ემსახურება. რაც შეეხება მაგისტრატურასა და დოქტორანტურას, სატყეო მიმართულებით სწავლების ამ საფეხურებზე სტუდენტი არ ირიცხება.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის 19 სტუდენტისა და მაგისტრატურის 13 სტუდენტის აღზრდას აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტიდან მხოლოდ 1 პედაგოგი ემსახურება.

სტუდენტთა რაოდენობის მხრივ რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც სატყეო – სამეურნეო და სატყეო ეკოლოგიის სპეციალობების ყველა საფეხურზე 170-მდე სტუდენტი სწავლობს. მათ აღზრდას ამ უმაღლეს სასწავლებელში 3 მეტყევე პედაგოგი ემსახურება აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ახლად შექმნილ ფაკულტეტზე, აგრარული მიმართულების სპეციალობებთან ერთად სატყეო სპეციალობებიც გაერთიანდა. სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და თანადგომა სატყეო – სამეურნეო სპეციალობებზე ახალგაზრდების მოზიდვის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს.

სატყეო დარგის სპეციალისტთა მოსამზადებლად აუცილებლად მიგვაჩნია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სატყეო – სამეურნეო მიმართულების (სატყეო მეურნეობა, სატყეო ეკოლოგია) მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად ჩამოყალიბდეს მაპროფილებელი „ტყეთმცოდნეობა – მეტყევეობის“ დეპარტამენტი; მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩასატარებლად ამავე ფაკულტეტზე უნდა შეიქმნას დენდროლოგიური, ტყეთმცოდნეობა – მეტყევეობის მუზეუმი (კაბინეტი) და ტაქსაცია – ტყეთმოწყობის ლაბორატორია; სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების, სასწავლო, საწარმოო პრაქტიკების ჩასატარებლად, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებისათვის შესაბამისი საველე მასალების მოსაპოვებლად და პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობისათვის, უნივერსიტეტს გადმოეცეს დედაქალაქთან ახლოს მდებარე რომელიმე სატყეო ტერიტორია; დაიხვეწოს და სრულყოფაში იქნას მოყვანილი „სატყეო საქმის“ მიმართულების სასწავლო გეგმები (კურიკულუმები) და შესაბამის დისციპლინათა პროგრამები (სილაბუსები); საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოორდინაციით, მოხდეს ყველა იმ უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო და სასწავლო–მეთოდური საშუალებების შეჯერება და ერთ სისტემაში მოყვანა, სადაც სატყეო მიმართულების სპეციალისტთა მომზადება მიმდინარეობს; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნას მეტყევე–სპეციალისტთა სწავლების შემდგომი სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სტრუქტურული ერთეული, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მეტყევე–სპეციალისტების ცოდნის დონის ამაღლებასა და მუდმივ სრულყოფას; გაფორმდეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, სატყეო მიმართულების ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ერთობლივი ხელმძღვანელობისა და აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით . იმ რაიონში (რაიონებში), რომლებსაც ჯერ კიდევ გააჩნიათ საშუალო – სპეციალური სატყეო განათლების სპეციალისტების მომზადებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სხვა საშუალებები (ბორჯომის, ლაგოდეხის, ყვარლისა და მცხეთის რაიონები) აღდგეს ან შეიქმნას საშუალო – სპეციალური სატყეო სასწავლებელი ან სხვა დარგის სპეციალობების პარალელურად მომზადდეს სატყეო პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებიც.

საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 2, 3, და 4 ოქტომბერს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”. კონფერენციამ იმუშავა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (CF/57/10 – 100/14).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 2, 3, და 4 ოქტომბერს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”. კონფერენციამ იმუშავა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (CF/57/10 – 100/14).

კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოწვია არა მარტო საქართველოში მოღვაწე მეცნიერებში, არამედ საზღვარგარეთის აგრარიკოს მეცნიერებში და მის მუშაობაში აქტიური მონაწლეობა მიიღეს უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთის ფედერაციის და მათ შორის დაღესტანის და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მეცნიერებმა.

კონფერენციით დაინტერესდნენ და მონაწილეობა მიიღეს მის მუშაობაში საერთაშორისო ორგანიზაციებმა FAO, ICARDA, CACAARI, BACSA და ა.შ.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, საქართველოს ტექნიკური, აგრარული, ბათუმის შ. რუსთაველის, ქუთაისის ა. წერეთლის და გორის სუხიშვილის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობაში გარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებებისა, მონაწილეობდნენ ფერმერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვა დაინტერესებული პირები.

კონფერენციაზე მუშაობა წარიმართა ორ დარგობრივ სექციაში (მიმართულებებში):

1. კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხოგანვითარება მემცენარეობაში;

1.1. ქვესექცია – აგროინჟინერია;

2. კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხოგანვითარება მეცხოველეობაში.

კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული, ინგლისური, რუსული .

სულ წარმოდგენილი იყო და კონფერენციის შრომათა კრებულში შეტანილი იქნა 142 სამეცნიერო სტატია, მათ შორის სექციების მიხედვით:

1. სექცია კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მემცენარეობაში - 95 სტატია.
2. ქვესექცია: - აგროინჟინერია - 22 სტატია
3. სექცია: კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცხოველეობაში - 25 სტატია.

აღნიშნული სტატიების თეზისების უმრავლესობა მოხსენებების სახით მოსმენილი იქნა კონფერენციის მსვლელობისას.

02 ოქტომბერს კონფერენცია გახსნა და სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე.

კონფერენციას და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. კვესიტაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ი. ნოზაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე გ. სომხიშვილი, აჭარის სოფლის მეურნების მინისტრი ზ. ფუტკარაძე, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დეპარტამენტის უფროსი ი. ნოსელიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი დოქტ. ლ. უჯმაჯურიძე, საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, გაეროს კოორდინატორი შუა აზიაში, FAO-ს წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციების ICARDA, CACAARI –ის ხელმძღვანელები.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე და სექციებში მუშაობის დროს მეცნიერებმა იმსჯელეს იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დგას ან დადგება კლიმატის გლობალური ცვლილებების დროს და ამ პრობლემებთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შესახებ.

კონფერენციამ, გამოიკვლია და გააანალიზა რა, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ სოფლის მეურნეობაზე, სერიოზულ პრობლემად აღიარა ეს პროცესი; შესაბამისად, მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელსაც **“თბილისის დეკლარაცია”** ეწოდა და რომელშიც ხაზგასმულია აგროეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ერთობლივი მიდგომების გავრცელების აუცილებლობა ყველა ქვეყნისთვის, აღიარებულია ამ საკითხებზე კონფერენციების სისტემატური ჩატარების ინიციატივის მნიშვნელობა და ჩამოყალიბებულია გზები სამომავლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

აღინიშნა, რომ კონფერენცია აღიარებს რა სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების ფართო ადაპტაციის მნიშვნელობას, მოუწოდებს კონფერენციის მონაწილეებს, ფერმერებს, ყველა დონის პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, აქტიურად ჩაერთონ საპარტნიორო კვლევებში;

უნდა მოხდეს კლიმატის ცვლილებების მემცენა-

რეობასა და მეცხოველეობაზე გავლენის შესახებ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის პოტენციალის გაძლიერება იმ მიმართულებით, რათა ეს მონაცემები და პროგნოზები ხელმისაწვდომი იყოს საბოლოო მომხმარებელთათვის მათი მოღვაწეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

უნდა გაძლიერდეს კლიმატის ცვლილებებზე მორგებული მოწინავე რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შერჩევა-დამუშავების ღონისძიებები, აგრეთვე გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალმოსავლიანი, დაავადებების მიმართ მგრძნობიარე კულტურების მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი რეზისტენტული და გვალვაგამძლე ჯიშებით ჩანაცვლებას.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომ კლიმატის ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ჩატარდეს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები დაინტერესებულ ქვეყნებში. კონფერენციის ჩატარების ადგილს, დროს და თემატიკას განსაზღვრავს ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
„კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“

თბილისის დეკლარაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2014 წლის 2-4 ოქტომბერს ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე”, რომლის მუშაობაში მანაწილეობა მიიღო 6 ქვეყნის 150 წამყვანმა მეცნიერმა-აგრარიკოსმა, სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლებმა. კონფერენციის საქმიანობა დაკავშირებული იყო კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული სოფლის მეურნეობაზე უარყოფითი შედეგების შემარბილებელ და საადაპტაციო ნეგატიური მოქმედების საკითხების განხილვასა და შეთანხმებასთან;

მისი ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის ხელმძღვანელების ყურადღების გამახვილება აგროეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენით გამოწვეულ სპეციფიურ პრობლემებზე, მათი საერთო ჭრილში განხილვა და ამ საკითხების შესახებ გამოცდილების გაზიარება, ასევე ერთობლივი მიდგომების შემუშავება უარყოფითი შედეგების შემარბილებელი ღონისძიებების დასაგეგმად, რათა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას სოფლის მეურნეობის განვითარების უფრო ახალი მიმართულების უზრუნველსაყოფად;

კონფერენციის მუშაობის პერიოდში გაანალიზებული იქნა სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესების დროს, აგრეთვე შემოთავაზებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის მრავალი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სასურსათო უსაფრთხოების და ბალანსირებული კვების უზრუნველსაყოფად;

კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია აგროეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ერთობლივი მიდგომების გავრცელების აუცილებლობა ყველა ქვეყნისთვის. კონფერენციის მონაწილეების მიერ მოწონებულია ყოველწლიური თემატური კონფერენციების სისტემატური ჩატარების ინიციატივის მნიშვნელობა და ჩამოყალიბებულია კონკრეტული გზების გაძლიერება სამომავლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

მიიღეს რა მხედველობაში არსებული და მოსალოდნელი პრობლემები და მათი გადაწყვეტის წინადადებები, კონფერენციის მონაწილეები:

აღნიშნავენ კლიმატის ცვლილების პრობლემების პრიორიტეტულობას ყველა მონაწილე ქვეყნისთვის და აცხადებენ, რომ გააგრძელებენ შედარებით მჭიდრო თანამშრომლობას “გაერო”-ს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის კონტექსტში;

აღიარებენ რა სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების ფართო ადაპტაციის მნიშვნელობას, მოუწოდებენ პოლიტიკოსებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფერმერებს, აქტიურად ჩაერთონ ერთობლივ და მრავალმხრივ კვლევებში, რომლებიც მიმართული იქნება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესების შერბილებისაკენ.

კონფერენციის მონაწილეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ:

კვლევით ინსტიტუტებს, დონორ ორგანიზაციებს და განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის კლიმატის ცვლილების, სასურსათო უსაფრთხოების და კვებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის გაღრმავება გლობალურ და რეგიონალურ დონეზე;

ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე მოწინავე გამოცდილების გაზიარება, ფერმერთა დასახმარებლად ექსტენშენ-სერვისის განვითარება, უნივერსიტეტებში შესაბამისი საგნების (ფაკულტეტების) სწავლების გაძლიერება;

კლიმატის ცვლილების პირობებში წყლის რესურსების მართვის, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სიტემების გაუმჯობესების ახალი პროექტების დამუშავების დაწყება;

კლიმატის ცვლილების მემცენარეობასა და მეცხოველეობაზე გავლენის შესახებ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის პოტენციალის გაძლიერება იმ მიმართულებით, რათა ეს მონაცემები

და პროგნოზები ხელმისაწვდომი იყოს საბოლოო მომხმარებელთათვის მათი მოღვაწეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სოფლის მეურნეობის მდგრადობასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე ზემოქმედების ინტეგრირებული დარგთაშორისი კვლევების წახალისება, რისკების ეფექტიანი მართვის მისაღწევად საპილოტე პროექტების განხორციელება;

კლიმატის გლობალური ცვლილების ნეგატიური ზემოქმედების ადაპტაციის საკითხებთან დაკავშირებით პროექტების და პროგრამების დაგეგმვა, რეალიზაციასა და შეფასების საკითხებში მეცნიერების, პრაქტიკოსების და პოლიტიკოსების ერთობლივი მონაწილეობა;

სურსათის (ცხოველის საკვების) უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული და პროგნოზირებული რისკების სისტემური შეფასების მექანიზმის დამუშავება და რეალიზაცია კლიმატის გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით;

სისტემატური ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარება დისტანციური ზონდირების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ტყის ლანდშაფტზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასებისათვის და დეგრადირებული ტყის საფარისათვის ბრძოლის სამუშაოთა დაგეგმვა;

კლიმატის ცვლილების ფონზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ ტყის ეკოსისტემებში კომპლექსური ინტეგრირებული აღდგენითი სატყეო-სამეურნეო, სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების გატარება;

კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით მოწინავე რესურსდამზოგი და ნიადაგდამცავი სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შერჩევა-დამუშავება, მათი ტესტირება და დანერგვა;

გატარდეს მიზნობრივი სასელექციო ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალმოსავლიანი, დაავადებების მიმართ მგრძნობიარე კულტურების მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი რეზისტენტული და გვალვაგამძლე ჯიშებით ჩანაცვლებას;

რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე სოფლის მეურნეობის და ეკოსისტემების ადაპტაციისა და მდგრადი მართვის კომპლექსური ღონისძიებების სტრატეგიული პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია მეცნიერული მიდგომების საფუძველზე, შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი სისტემების სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ქ. თბილისი,
2014 წლის 3 ოქტომბერი

კონფერენციის მონაწილეები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საგურამოს ექსპერიმენტულ სანერგე მეურნეობაში

თანამშრომლობა
უკრაინის ქ. ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან და "აგრო განვითარების ჯგუფთან"

მიმდინარე წლის 2,3,4 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საერთაშორისო კონფერენციის "კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე" ფარგლებში სტუმრობდა უკრაინის ქ. ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიის კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიტალი კუჩერიავი და ამავე კათედრის ასპირანტი ანატოლი მედვედი. კონფერენციის შემდეგ მათი საქმიანი ვიზიტი გაგრძელდა.

2013 წელს საფუძველი ჩაეყარა ერთობლივ პროექტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, უკრაინის ქ. ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტსა და "აგრო განვითარების ჯგუფს" შორის. პროექტის ფარგლებში ხორციელდება ერთობლივი კვლევა, რომელიც შეეხება აგრო განვითარების ჯგუფის მიერ მცენარეული ნედლეულიდან დამზადებული საკვებდანამატის - პრებიოტიკის "რუმიფოსის" გამოყენებას მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. "რუმიფოსი" ოლიგოსაქარიდებისა და ფენოლური ნაერთების შემცველი საკვებდანამატია. ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ვიტალი კუჩერიავის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა აღნიშნული პრეპარატის გამოცდა. უკვე დამთავრდა ცდების პირველი ეტაპი ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში და გამოვლინდა პრეპარატის დადებითი გავლენა მეხორცულ და მერძეულ პროდუქტიულობაზე. ვინიცის ეროვნული უნივერსიტეტის ვივარიუმში მიმდინარეობს ცდები ბოცვრებზე და ვირთხებზე, რომლის მიზანია პრეპარატის გავლენის შესწავლა ბეწვის ხარისხზე და სხვა. ცდების შედეგების დეტალური ანალიზი უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს "აგრო განვითარების ჯგუფის" ოფისში კვლევების დეტალური ანალიზი წარმოადგინა პროფესორმა ვიტალი კუჩერიავიმ. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა უკრაინის ვინიცის ოლქის "ნაპადიევსკის" მეცხოველეობის ბაზაში. აღმოჩნდა, რომ პრებიოტიკი რუმიფოსი ზრდის მერძეულ პროდუქტიულობას 4,8%-ით, რძის ცხიმიანობას 0,3%-ით, იზრდება გემოგლობინის რაოდენობა 6,1%-ით, ასევე შეინიშნება ცილის შემცველობის ზრდა რძეში. მიღებული შედეგები მოწმობს, რომ პრეპარატის ზეგავლენით ცხოველის ორგანიზმში ინტენსიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, რაც სავარაუდოდ არის მიზეზი პროდუქტიულობის ზრდისა. ასევე შესწავლილი იქნა, პრეპარატის გავლენა მეხორცულ პროდუქტიულობაზე. აღმოჩნდა, რომ იგი იზრდება 9,6 %-ით, ამასთანავე შეინიშნება საკვების დანახარჯების შემცირება 11,8 %-ით. უმჯობესდება ხორცის ხარისხი. კვლევის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ აგრო განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელების: დოქტორების ნიკოლოზ ზაზაშვილის, ნოდარ მინდიაშვილის, მიხეილ ჭიჭაყუას მიწვევით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი დოქტორი ანატოლი გიორგაძე, პროფესორი ვიტალი კუჩერიავი და ასპირანტი ანატოლი მედვედი გაეცნენ "აგრო განვითარების ჯგუფის" ბიოპრეპარატებისა და საკვებდანამატების საწარმოს.

აღინიშნა, რომ ურთიერთანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. პრეპარატმა უკვე გაიარა პირველი ეტაპი უკრაინაში საერთაშორისო პატენტის მოსაპოვებლად.

უკრაინელი და ქართველი მეცნიერები აგროგანვითარების ჯგუფის ოფისში

საერთაშორისო სემინარი ვლადიკავკაზში

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ჩატარდა, როგორც მოსამზადებელი ეტაპი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა **"მეცნიერება, განათლება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საფუძველი".** აღნიშნული კონფერენცია გაიმართება 2015 წელს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა მრგვალი მაგიდები სხვადასხვა მიმართულებებით: **ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციის როლი მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციის საქმეში; სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემები, ამოცანები და როლი მთის ტერიტორიების განვითარებაში; მთის ტერიტორიების დემოგრაფიული, სოცილური და მედიკო-ბიოლოგიური პრობლემები; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საგანმანათლებლო საქმიანობა მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარებისათვის; მეცნიერების ძირითადი პრობლემები, ამოცანები და მიღწევები მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საქმეში; განათლება და მისი როლი მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საქმეში; გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა; მრეწველობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მშენებლობა და კომუნალური მეურნეობა მთის ტერიტორიების პირობებში; მთის ტერიტორიების ტურისტულ-სარეაკრეაციო პოტენციალი;**

სემინარის ორგანიზატორი იყო **საერთაშორისო საინოვაციო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი "მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარება", რომელიც შექმნილია იუნესკოს მხარდაჭერით.**

სემინარი:
"სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;"

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 2014 წლის 24 ოქტომბერს 12 საათზე გაიმართა სემინარი: "სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;"

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან ისაუბრა აღნიშნული სემინარის მნიშვნელობაზე და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების კონსერვაციის აუცილებლობაზე. სემინარის მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ. სემინარი მიჰყავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანს გოგოლა მარგველაშვილს.

მოსმენილი იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

1. ქართული ხორბლის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.
მომხს. აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

2. სიმინდის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები
მომხს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი

3. ხეხილის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები
მომხს. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი

4. ვაზის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.
მომხს. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

5. სუბტროპიკული მცენარეების ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.
მომხს. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

6. ბოსტნეული კულტურების ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.
მომხს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი სუხიშვილი

7. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების მონიტორინგის პრობლემები საქართველოში.
მომხს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე

8. საქართველოს ტყის ენდემური სახეობების მდგომარეობა და არეალის გაფართოების პერსპექტივები.
მომხს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გაგოშიძე.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია სემინარის მასალების გამოცემა ბუკლეტის სახით.

სემინარი:
"სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;"

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 2014 წლის 30 ოქტომბერს 12 საათზე გაიმართა სემინარი: "სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;"

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან ისაუბრა აღნიშნული სემინარის მნიშვნელობაზე და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების კონსერვაციის აუცილებლობაზე. სემინარის მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანმა ზურაბ ცქიტიშვილმა.

მოსმენილი იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მიერსასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების გამრავლების, სელექციისა და კონსერვაციისათვის ჩასატარებელი სამომავლო ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე მეცხოველეობის მიმართულებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ბასილაძე.

2. გარეული ფრინველების ენდემური სახეობები და სამონადირეო ფრინველები.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

3. ძროხის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ცისანა ქილიფთარი.

4. ღორის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როლანდ მიტიჩაშვილი.

5. ცხვრის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბეღელური.

6. ფრინველის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი.

7. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის მაჩვენებლები და მისი გაუმჯობესების გზები

მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი.

8. თევზის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: მაგისტრი ელდარ კაშია.

9. ფუტკრის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი.

10. თუთის აბრეშუმხვიას ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნარგიზა ბარამიძე.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია სემინარის მასალების გამოცემა ბუკლეტის სახით.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში".

2014 წლის 07 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, მოწვეულმა სტუმრებმა: სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის და კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა შალვა კერესელიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან: საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ნინო ჩხარტიშვილმა, მებოსტნეობის სამსახურის უფროსმა ნატო კაკაბაძემ და კონსულტანტმა აკაკი მამალაძემ, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის "ელკანა"-ს ხელმძღვანელმა მარიამ ჯორჯაძემ, საქართველოს ეროვნული აკადემიის გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ზურაბ რევიშვილმა.

კონფერენციაზე ძირითადი მოხსენება თემაზე: "სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში" გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

მოხსენების ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები გამოთქვეს შ. კერესელიძემ, მ. ჯორჯაძემ, ნ. ჩხარტიშვილმა, ზ. რევიშვილმა, აკადემიკოსებმა გივი ჯაფარიძემ, ზაურ ჩანქსელიანმა, ომარ ქეშელაშვილმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ომარ ბედიამ.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომელიც საქართველოში ფერმერთა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების საკონსულტაციო მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას ეხება, სადაც ამ საქმიანობაში პირველ რიგში აღინიშნა სოფლის მეურნეობის აკადემიის წამყვანი როლი.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შიდა ქართლში

2014 წლის 14 ნოემბერს გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად და ინიციატივით ჩატარდა გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "**მეხილეობის და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში**".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, ი. ვასაძემ. ვ. კვალიაშვილმა, გ. ბადრიშვილმა, ზ. ჩანქსელიანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ და თ. თურმანიძემ, სსმმ აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკადემიურმა დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორებმა მებოსტნეობის დარგში პროფ. ვ. სუხიშვილმა და აკადემიურმა დოქტორმა ნ. კაკაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა, შიდა ქართლის და გორის საკრებულოს წარმომადგენლებმა, შიდა ქართლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტებმა, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგებმა და სტუდენტებმა, შიდა ქართლის მეხილეობის და მებოსტნეობის მიმართულებების ფერმერებმა და სპეციალისტებმა.

კონფერენცია გახსნა სსმმ აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა მეხილეობის დარგში აკად. იუზა ვასაძემ.

სსმმ აკადემიის პრეზიდენტის და აკადემიური საბჭოს სახელით კონფერენციას მიესალმა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: მეხილეობის მიმართულებით - აკად. ი. ვასაძე "მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში", აკად. გ. ბადრიშვილი "მეხილეობის დარგის სამეცნიერო დარგის პერსპექტივები შიდა ქართლში", აკად. ვ. კვალიაშვილი "ადგილობრივი წარმოშობის ხეხილის ჯიშების შესწავლა, სელექცია და ინტროდუქცია", აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. თურმანიძე "ეკოლოგიური პირობების გავლენა ხეხილოვან კულტურათა ზრდა-განვითარებასა და მოსავალზე"; მებოსტნეობის მიმართულებით აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვ. სუხიშვილი "მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა შიდა ქართლში" და

ეროვნული კოორდინატორი, სოფლ. მეურნ. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დეპარტამენტის უფროსი, აკადემიური დოქტორი ნ. კაკაბაძე მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში".

ძირითადი მოხსენებების შემდეგ კონფერენციის მნიშვნელობასა და შიდა ქართლში მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარებასა და დარგების პრობლემების გადაჭრის საკითხებზე ისაუბრეს სსმმ აკადემიის აკად. გ. მარგველაშვილმა, სსმმ აკადემიის აკად. ზ. ჩანქსელიანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინატორმა ნ. ხოხაშვილმა, შიდა ქართლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტმა ჯ. დოდაშვილმა, გორის საკრებულოს წევრმა ხ. ხათაშვილმა, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მელანიშვილმა, ფერმერმა გოგი ბარბაქაძემ, გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის პროფესორებმა დ. გოგინაშვილმა და დ. პავლიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიოწარმოების სამსახურის უფროსმა გ. წერეთელმა.

მოხსენებების, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც მითითებულია მეხილეობის და მებოსტნეობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები და ამ მიმართულებით სსმმ აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლის და ფუნქციების გაძლიერება; რეკომენდაციებში ასახულია მეხილეობისა და მებოსტნეობის მიმართულებით კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებლობა, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის ღონისძიებების მნიშვნელობა, სელექციური მუშაობის გაუმჯობესება, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის საკითხების სრულყოფა და ამ მიმართულებით მკაცრი საკანონმდებელო საქმიანობის წარმართვა, აგროქიმიური სამსახურის აღდგენა, მექანიზაციის და ირიგაციის საკითხების სრულყოფა და გაუმჯობესება და სხვა.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე ამ ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების აუცილებლობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც (სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის) და ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი როლის გაძლიერება.

მრგვალი მაგიდა "პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში"

2014 წლის 19 ნოემბერს ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში (ანასეული, ოზურგეთის რაიონი) ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის და მისი ჯგუფის მრგვალი მაგიდა თემაზე: "პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში". სხდომას ესწრებოდნენ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები, ოზურგეთის რაიონის ამხანაგობების და ფერმერთა წარმომადგენლები, ინდმეწარმეები და სხვა.

მრგვალ მაგიდას ხელმძღვანელობდა ეროვნული კოორდინატორი აკად. ვალერიან ცანავა. მან თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მრგვალი მაგიდის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მეციტრუსეობაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა და მიმდინარეობა და პასუხი გაეცეს იმ მრავალ კითხვებს, რომლითაც პრაქტიკოსი მეციტრუსეები მიმართავენ მეცნიერებს.აღნიშნულ იქნა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა პრაქტიკულ საკითხებზე პერიოდული სწავლებების ჩატარებით და შხამ-ქიმიკატების გამოყენების ვადების და დოზების დაზუსტებით.

ფერმერებისათვის სასარგებლო ინფორმაციები გააკეთეს და შეკითხვებზე უპასუხეს ინსტიტუტის მეცნიერებმა, აკადემიურმა დოქტორებმა ვ. გოლიაძემ და ე. ნიკოლაშვილმა. მეცნიერების გამოსვლებში აღნიშნული იყო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები, მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებები. აღინიშნა სავაჭრო ქსელში არსებული შხამ-ქიმიკატების დაბალი ხარისხი და დაისვა საკითხი კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზე. გამოითქვა სურვილი რომ შეხვედრები სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის საკვანძო საკითხების ვადებთან იყოს დაკავშირებული და ამ ცალკეული საკითხების განხილვა და სიახლეების გაცნობა მოხდეს პერიოდულად.

საინტერესო ინფორმაციები გააკეთეს და გარკვეული შეკითხვები დასვეს ფერმერებმა სოფ. შრომიდან გ. ხომერიკმა, ზ. მჟავანაძემ, კ, ცერცვაძემ; მათ აღნიშნეს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ფერმერებს არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ, გამოკვეთილია აგროქიმიური ლაბორატორიის შექმნის აუცილებლობა; აღინიშნა ნიადაგის ანალიზის სიძვირე, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს სასუქების დოზების განსაზღვრაზე.

ფერმერებმა ყველა შეკითხვაზე მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხები. მრგვალ მაგიდაზე მიიღეს დადგენილება, რომ თითოეულ სოფელში შეიქმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან მეცნიერებთან და მოხდეს ფერმერების პრაქტიკული დახმარება ჯიშების შერჩევის, შხამქიმიკატების და სასუქების დოზების და ვადების განსაზღვრის მიმართულებით და აგრეთვე სხვა პრაქტიკული წინადადებების გადასაწყვეტად.

შეხვედრა პოლონელ პარტნიორებთან

2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა პოლონეთის ქალაქ პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პოზნანის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის დეკანის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში, დოქტორი გუეგოუ რონჩკა და ამავე უნივერსიტეტის მაგისტრი ლევან ჩოფლიანი.

სტუმრები მიიღო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი , აკადემიის წ/კორესპონდენტი ე. შაფაქიძე და აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ა. გიორგაძე.

აკად. გ. ჯაფარიძემ და დოქტორმა გუეგოუ როჩკამ განიხილეს უნივერსიტეტსა და სსმმ აკადემიას შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხები და 2015 წლის სამომავლო გეგმები, რომლებიც ეხება ამ ორ ორგანიზაციას შორის აგრარულ სფეროში აქტუალური პროექტების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას და მათი მუშაობის ორგანიზებას.

ინფორმაცია

2014 წლის 17-21 ნოემბერს ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი) ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების არსებულ მდგომარეობას და მისი განვითარების გზების დასახვას.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო ამ ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია "CACAARI" და სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმი "GFAARI"; რეგიონალურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებმა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების და ამერიკის ილინოისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა ა. მამალაძემ და სიღნაღის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ბ.ბოლდაშვილმა. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აკად. გ. ალექსიძე, რომელმაც შეაფასა საქართველოში საკონსულტაციო ცენტრების (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს) და არასამთავრობო ორგანიზაციების (საქართველოს ფერმერთა კავშირი, ბიომრავალფეროვნების ასოციაცია "ელკანა") მუშაობა, თათბირის მონაწილეებმა ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებული მუშაობა შეაფასეს დადებითად.

განსაკუთრებით აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების ფონდის (USAID), აგრეთვე ილინოისის და ტეხასის უნივერსიტეტების დიდი დახმარება ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების ორგანიზებასა და მათთვის ტრეინინგების ჩატარებაში.

თათბირის მუშაობის შემდეგ ჩატარდა "CACAARI" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელსაც უხელმძღვანელა აკად. გურამ ალექსიძემ. სხდომაზე განიხილეს საკითხი მსგავსი თათბირის ჩატარების შესახებ მომავალ წელს ქ. ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

რეგიონალური კონფერენციის მონაწილეები, ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი, 21 ნოემბერი, 2014 წ.

ინფორმაცია

საინვესტიციო პროექტი - მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში

2014 წლის 26 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოსმენილი იქნა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების გ. ნიკოლეიშვილის და ე. შაფაქიძის მოხსენება თემაზე: „საინვესტიციო პროექტი - მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“. პროექტის ავტორები არიან სსმმ აკადემიიდან აკადემიკოსები გ. ჯაფარიძე და თ. კუნჭულია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გ. ნიკოლეიშვილი (ხელმძღვანელი) და ე. შაფაქიძე, აკად. დოქტორები ნ. ბარამიძე და ე. ჭოლაძე, ხონის მუნიციპალიტეტი.

აკადემიური საბჭოს წევრების გარდა განხილულ საკითხზე სხდომას ესწრებოდნენ აკადემიკოსი ნ. ჭითანავა (პროექტის რეცენზენტი), ხონის და მარტვილის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების უფროსები ბადრი ბახტაძე და აკადემიური დოქტორი მერაბ ქვარცხავა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი სპეციალისტი მეაბრეშუმეობის დარგში ნ. ბარამიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან აკადემიური დოქტორები ი. გუჯაბიძე, თ. დალალიშვილი, ზ. წყარუაშვილი, მ. ხუციშვილი.

საინვესტიციო პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკად. ნ. ჭითანავამ, აკად. ო. ქეშელაშვილმა, აკად. თ. კუნჭულიამ, ხონის წარმომადგენელმა მ. ბახტაძემ, მარტვილის წარმომადგენელმა მ. ქვარცხავამ, აკად. დოქტ. ნ. ბარამიძემ და თ. დალალიშვილმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მისასალმებელია ამ ტიპის კონკრეტული საინვესტიციო პროექტების დამუშავება და მისი განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სხვა უწყებებთან ერთად უნდა განახორციელოს.

საინვესტიციო პროექტის განხილვა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის პირველი ნაბიჯია, სწორად არის შერჩეული ხონის რაიონი, რომელსაც მეაბრეშუმეობის დარგში დიდი ტრადიციები და გამოცდილება აქვს. მაგრამ ასევე დასაზუსტებელია ხონის რაიონის ყოფილი მეაბრეშუმეობის მეურნეობის მომავალი საქმიანობა, ვინაიდან გასარკვევია მისი იურიდიული უფლებები. ასევე აუცილებელია, რომ პროექტი გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს, რომელიც დღესაც აგრძელებს მეაბრეშუმეობის აღდგენა-აღორძინების მნიშვნელოვან ღონისძიებებს და მიზანშეწონილი იქნება, რომ ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობის და მისი ნაკვეთებით დაინტერესდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. აკადემიურმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც რეაგირებისათვის გადაეგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ხონის მუნიციპალიტეტს.

პროექტის განხილვა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე.

პროექტის ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ხონის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ბადრი ბახტაძე

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 8 საკითხი. მათ შორის 2014 წლის ნოემბრის თვის ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის სწავლული მდივანი-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020)" ის განახლებულ დოკუმენტზე წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის ვუცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის სწავლული მდივანი-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან "მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის" შექმნის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.